# გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა ღვაწლმოსილ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცა





გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, 8 მარტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საბავშვო ბაღის აღმზრდელს ქალბატონ ნანი სალუქვაძეს, ჩოხატაურის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მორიგე ექიმებს და ლანჩხუთის პირველი საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს ქალბატონ თამარ ასკურავას მიულოცა და მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა .


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 6 (10473) 13 მარტი 2024 წ. ფასი 80 თეთრი.



მაღაზია „ნუგბარი"




ჩვენთან ყველაფერი თქვენი ოჯახისთვის მისაღებ ფასად!

მისამართი:ჭავჭავაძის ქ. №15


# „გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა"

## ინტერვიუ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია კუტუბიძესთან

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა ქალთა უფლებების დაცვისათვის?**

ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნება ყოველი წლის 8 მარტს და ის ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების აღნიშვნის გლობალური დღესასწაულია. ეს დღე არის ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის იდეა-სიმბოლო.ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება და ჩემი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია.

**— როგორია თქვენი აზრი ქალთა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, რადგან საზოგადოებაში კვლავ არის სტერეოტიპი ქალის პოლიტიკაში მოსვლისა და კარიერულ წარმატებებთან დაკავშირებით.**

— ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიის ერთ-ერთი საზომი სწორედ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და მათი უფლებების დაცვის ხარისხია.ქალები შეადგენენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე მათ აქვთ უფლება პროპორციულად იყვნენ წარმოდგენილები პოლიტიკაში, მოახდინონ ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ოჯახის ზრუნვის ტვირთი ძირითადად ქალებზეა,რაც უკან ხევს ქალების აქტიურობას და კარიერულ წინსვლას.

როდესაც ვსაუბრობთ ქალთა მონაწილეობაზე პოლიტიკაში, ცალსახად დადებითად უნდა შევაფასოთ საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები და სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღება.




**— როგორი გახლდათ საზოგადოების, ოჯახის პოზიცია თქვენთან მიმართებაში და თქვენი აზრით უნდა იყოს თუ არა მეტი ქალი პოლიტიკაში.**

— ჩემი კარიერული წინსვლა 90-იან წლებში დაიწყო,როდესაც საგადასახადო ინსპექცია დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდა.მე დავინიშნე სამსახურის უფროსად და ვიყავი ერთადერთი საგადასახადო ინსპექციის უფროსი ქალი ქვეყანაში. ყველა თვლიდა, რომ ეს მამაკაცის შესაფერისი სამსახური იყო, მაგრამ ვფიქრობ კარგად გავართვი თავი ჩემს მოვალეობებს და ამით დავამტკიცე, რომ არ არსებობს საქმიანობა, რომელსაც ქალი თავს ვერ გაართმევს(რა თქმა უნდა შესაბამისი განათლების და კომპეტენციის გათვალისწინებით).

„მეტი ქალი პოლიტიკაში"— ნიშნავს ქალთა საჭიროებების გააქტიურებას პოლიტიკის დღის წესრიგში.

**— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს ყველა მოქალაქე სქესის მიხედვით თანასწორია, პრაქტიკაში პრობლემები კვლავ არსებობს. თქვენ სად ხედავთ პრობლემას? სად აქვთ ქალებს ყველაზე მეტი გამოწვევა მათი უფლებების დაცვის კუთხით? რატომ მოხშირდა ამ ბოლო დროს ოჯახური ძალადობის ფაქტები.**

— ქალის უფლებების ცალკე გამოყოფა ნაკარნახევი იყო ქალსადმი ისტორიულად ჩამოყალიბებული სტერეოტიპული დამოკიდებულებით.

ქალთა უფლებები ითვალისწინებს ქალის რეპროდუქციულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური გადაწყვეტილებების მიმღებ სტრუქტურებში მონაწილეობის, განათლების, დასაქმების, სუფთა გარემოს,

გვ–2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

## გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო



გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილი** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** ნიგვზიანის, აკეთის, ჩოჩხათისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღების მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნენ.

პროექტს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და მის შესასრულებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან 7 124 326 ლარი გამოიყო.

## ლანჩხუთის მერმა ქალთა საერთაშორისო დღე მეეზოვე ქალბატონებს მიულოცა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძესთან** ერთად ქალთა საერთაშორისო დღე მეეზოვე ქალბატონებს მიულოცა.

*„ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ ძვირფასო ქალბატონებო! თქვენ ყოველდღიურად ზრუნავთ ჩვენი ქალაქის იერსახეზე. მადლობას გიხდით გაწეული სამსახურისთვის და წარმატებებს გისურვებთ“ – აღნიშნა მერმა.*

## ბიუჯეტირების ეფექტურად განხორციელებისათვის



საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში (ჩოხატაური, ოზურგეთი, ბათუმი, ქუთაისი, ონი, საგარეჯო, ქედა, ახალციხე, ბოლნისი, გორი, ზუგდიდი) ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა. კვლევის მიზანი იყო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების გამოვლენა. გარდა ამისა, მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის ეფექტური მოდელების, ქმედითი ინსტრუმენტების და რეკომენდაციების შემუშავება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ეფექტურად განხორცილებისთვის.

კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მერიისა და საკრებულოს წევრები, ასევე მოქალაქეები, რომლებიც გასულ წლებში ჰქონდათ პროექტების მომზადების გამოცდილება. მთლიანობაში 100-ზე მეტი ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ჩართულ მოქალაქეებთან და 11 ფოკუსჯგუფი მუნიციპალიტეტების მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებთან.

კვლევის დასრულების შემდეგ მომზადება კვლევის ანგარიში, შემუშავდება ქმედითი ინსტრუმენტები და რეკომენდაციები მონაწილეობითი ბიუჯეტირების ეფექტურად განხორციელებისთვის. გამოვლინდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

## „გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა“

### ინტერვიუ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია კუტუბიძესთან

სამშვიდობო პროცესში ჩართვის უფლებებს. გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა. ქალებს უფლება აქვთ, იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიშის გარეშე. ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად.

ოჯახური ძალადობის ფაქტები კი არ გახშირდა, არამედ ცნობიერება ამაღლდა მოსახლეობაში და გაიზარდა მომართვიანობა ძალადობის ფაქტების შესახებ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე მერიაში შეიქმნა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია“,რომლის ფარგლებშიც საჭირო საქმიანობა ხორციელდება ამ მიმართულებით.

**– ახალგაზრდების მიგრაციული პროცესი უცხოეთის ქვეყნებში ყოველწლიურად იზრდება, რადგან აქ ძალიან უჭირთ თავიანთი ადგილის დამკვიდრება. რას ურჩევდით მათ, როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა შეჩერდეს ეს მტკივნეული პროცესი?**

– ახალგაზრდების მიგრაციას სხვადასხვა საფუძველი აქვს.უკეთესი განათლების მიღება,დასაქმება,ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.ამ საკითხზე კვლევებიცაა ჩატარებული,სადაც სწორედ ეს საკითხები გამოიკვეთა.ჩემი აზრით ეკონომიკური აღმავლობა გადაჭრის ამ პრობლემას.

საუკეთესო ახალგაზრდობა გვყავს, რომელიც სჭირდება ჩვენს ქვეყანას განვითარებისა და წინსვლისათვის.

**გაზეთი „ალიონი“**

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო

მიმდინარე სამუშაოებს ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე, მოადგილესთან, **გიორგი ლურჯუმელიძესთან** და საკრებულოს წევრებთან ერთად გაეცნო.

ახალი საბავშვო ბაღი, ესიგნ- უილდ მეთოდით 75 ბავშვზე იქნება გათვლილი; მოეწყობა შიდა და გარე სივრცეები, კომუნიკაციები და სველი წერტილები; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 1 482 623 ლარს შეადგენს,რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს - მუნიციპალური განვითა-რების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.



## გურიანთაში, აჭარის უბნის დასახლებაში - ახალი ხიდის მშენებლობა დასრულდა

განახლებული ხიდი ოზურგეთის მერმა, **ავთანდილ თალაკვაძემ,** საკრებულოს წევრებთან ერთად დაათვალიერა.

სამუშაოები მთავრობის მხარდაჭერით „სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების“ ფარგლებში განხორციელდა.



# სოფლის ცხოვრება

ბახვი ჰესი

## კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

## აკაკი ღლონტი: „უნდა შევცვალოთ აზროვნება და მასთან ერთად შეიცვლება ბევრი რამ სასიკეთოდ, მათ შორის მიდგომებიც“

ლადო მენაბდე „გურიის მოამბე“

***„წარმოუდგენლად მეჩვენება გქონდეს ერთი ჰექტარი მიწის ფართობი და არ მოგყავდეს ან ვერ აწარმოებდე სამას ლიტრ ღვინოს, ას ლიტრ არაყს, 60 კგ ლობიოს, ერთი ტონა სიმინდს. ყველას შეგვიძლია დღეს ოჯახი ვარჩინოთ და განვითარებისთვისაც ვიბრძოლოთ არსებულ პირობებში“, – აცხადებს აკაკი ღლონტი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერ მუშაკი.***



*„გურიის მოამბესა“ და „ალიონის“ ერთობლივი – „ბახვი ჰესის“ მიერ დაფინანსებული რუბრიკის „სოფლის ცხოვრება“ ფარგლებში, „გურიის მოამბე“ ადგილობრივ აგრონომს, გაეროს ექსპერტს აგრარულ საკითხებში,* **აკაკი ღლონტს** *შეხვდა. სოფლის მეურნეობაში რომ წარმატებას მიაღწიო, ან თუნდაც იმ დონეს მიაღწიო, ნახევრად ხუმრობით რომ ვთქვა, „გასაქცევად არ გქონდეს საქმე“, გარკვეული ცოდნა, გამოცდილების მიღება და რაც მთავარია მოტივაციაა საჭირო – ასე იწყებს აკაკი ღლონტი საუბარს რუბრიკასთან* ***„სოფლის ცხოვრება“:***

მოდით, გაეროს ექსპერტთან, აგრარულ საკითხებში, აკაკი ღლონტთან ერთად, მივყვეთ თანმიმდევრობით, რა არის საჭირო წარმატებისათვის:

**პირველ რიგში:**

განათლება, ცოდნა, გამოცდილება, გარემო, ასევე ცოდნა, თუ რა გინდა და შენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი რის შესაძლებლობას გაძლევს, ანუ მიზანი და რაც მთავარია, გასაღების ბაზარი – სად გაიტან და გაყიდი პროდუქციას, რომელსაც მოიყვან.

ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ბუნებრივი პირობები. არ არის აუცილებელი მაინცადამაინც ბანანი მოიყვანო, რომ საინტერესო იყო მომხმარებლისთვის. მთავარია, შეისწავლო ბაზარი, რაც დიდი პრობლემა არ არის. ამ კვლევით დაინახავ მოთხოვნას, გადაკვეთის წერტილს და დაიწყებ მოქმედებას.

კონსულტაციებსა და ცოდნას ნებისმიერი აგრონომი გაგიზიარებს. ბევრია არასამთავრობო ორგანიზაციაც, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს.

მე მაგალითად ნებისმიერ დროს მზად ვარ და ეს დღემდე არავისათვის არ დამიმადლებია, გავცე რეკომენდაციები, რჩევები, მაქვს წაბლის, თხილის, პავლონიას, კივის, ფეიჰოას პლანტაციები, ასევე სანერგე მეურნეობა. ასევე ვუვლი ფუტკარს, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.

როცა ადამიანი გადახედავს საკუთარ შესაძლებლობებს უნდა ჩამოყალიბდეს, იმ მიწის ნაკვეთით რაც მას საკუთრებაში აქვს, რა იქნება მისთვის უფრო მეტად მომგებიანი, მესაქონლეობა, მემცენარეობა, მეღორეობა, მეფუტკრეობა თუ სხვა რამ.

რომელი დარგშიც აქვს შესაძლებლობა მიიღოს ან გააღრმავოს განათლება, ის დარგი უნდა აირჩიოს და განავითაროს.

შემდეგი ნაბიჯია, სახელმწიფო პროგრამებში გარკვევა.



არსებობს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, საკონსულტაციო ცენტრები სადაც ინფორმაციის მოძიების და სხვადასხვა, დასაწყისისათვის აუცილებელი ფორმალობების მომზადებაში გეხმარებიან.

სამწუხაროდ ჩვენთან სპეციალისტების ნაკლებობაა, იქნებიან ეს აგრონომები თუ ვეტექიმები. ოზურგეთში დაახლოებით 50 სოფელია და სულ 10 მდე აგრონომი ვართ. ამის მიუხედავად, მაინც შეიძლება, მოტივაციის შემთხვევაში, წარმატების მიღწევა.

რითი არის ანასეულის კვლევითი ცენტრი საინტერესო? მაგალითად, ჩვენთან ხშირად გარკვეულ კულტურებს მეზობლის, ან ნაცნობის რჩევის საფუძველზე მისდევენ. მანამ, სანამ დაიწყებთ მოცვის, ლობიოს, კივის თუ ათასი სხვადასხვა კულტურების მოშენებას, პირველ რიგში აუცილებელია მიწა სინჯებისათვის მიიტანოთ ანასეულის კვლევით ლაბორატორიაში, სადაც გეტყვიან ამ მიწაზე რომელი კულტურებია პერსპექტიული.

იქნებ თქვენ ნიგოზს აპირებთ და მიწა გამოუსადეგარია ამისათვის, ან წაბლი გინდათ და პავლონია სჯობს. პირველ რიგში, აუცილებელია მიწის შესწავლა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სავალალო შედეგით არ დასრულდეს თქვენი გაწეული შრომა და ხარჯი.

როცა, მიწის სინჯებზე პასუხები გექნებათ, შემდეგ უნდა წახვიდეთ კვალიფიციურ ექსპერტთან და ის გვირჩევთ, რისი მოყვანა ჯობია თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწაზე. აი მაგალითად, რა დაემა-

გვ–4

## მეფუტკრეობა და გარემო

ნუგზარ ასათიანი „ალიონი“



*__ჯანვერდი ცეცხლაძე,__ 73 წლის, პროფესიით ეკოლოგი, სწავლული მეფუტკრე. 14 წელი მუშაობდა გურიის გარემოს დაცვის სამმართველოში მთავარ სპეციალისტად. 1985-1992 წლებში იყო ოზურგეთის მეფუტკრეობის გაერთიანების მეფუტკრე-სელექციონერი. სოფელ გოგიეთში (მაკვანეთის თემი) ეკოპარკში ფუტკრის 100-ზე მეტი ოჯახი ჰყავდა და ეკოლოგიურად სუფთა თაფლს აწარმოებდა. იგი არა მარტო კარგი მეფუტკრეა, არამედ ამ დარგში დიდ საგანმანათლებლო მუშაობასაც ეწევა.*

*1997 წელს მან შექმნა გურიის მეფუტკრეთა კავშირი, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. აღნიშნულ კავშირთან შექმნილმა ერთწლიანმა უფასო სასწავლო კურსებმა არაერთი მეფუტკრე გამოზარდა, რომლებიც დღეს წარმატებული მეფუტკრეები არიან.*

***– ბატონო ჯანვერდი, საგანმანათლებლო მუშაობით დავიწყოთ, რა როლი შეასრულა უფასო ერთწლიანმა კურსებმა რეგიონში მეფუტკრეობის განვითარებაში?***

*–მეფუტკრეობის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა და მაღალპროფესიული კადრების მომზადება საწინდარია სათანადო დონეზე წარიმართოს სოფლის მეურნეობის ეს უკეთილშობილესი დარგი.*

*მას შემდეგ, რაც კოლექტიური მეურნეობები დაიშალა, რეგიონში ფუტკრის ოჯახების რაოდენობამ იკლო, თუმცა მეფუტკრეთა რაოდენობა გაიზარდა. მათ არ გააჩნდათ სათანადო განათლება, ამიტომ შევქმენით ერთწლიანი უფასო სასწავლო კურსები, ხოლო შემდეგ ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს მეფუტკრეობის სახალხო უნივერსიტეტის ოზურგეთის ფილიალმა, სადაც ლექციებს კითხულობდნენ რეგიონის ცნობილი მეფუტკრეები, მოწვეული მეფუტკრეობის კარგისპეციალისტები. აქ ტარდებოდა ლექციები ფუტკრის ბიოლოგიაში, ფუტკრის მოშენებლობასა და სელექციაში, ფუტკრის დაავადებებზე, მათ მკურნალობასა და პროფილაქტიკაზე, ფუტკრის პროდუქტების მიღების ტექნოლოგიაზე, საკვებ ბაზაზე, აპითერაპიასა და სხვა საკითხებზე. მეფუტკრეობის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია დამწყები მეფუტკრეებისათვის, რადგან არცოდნას სავალალო შედეგი მოაქვს და აზიანებს სხვა მეფუტკრეებსაც.*

*პირველ ეტაპზე კადრების მოზადების საქმეში აშშ საელჩო დაგვეხმარა, ასევე აშშ ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ამქორი,“ თუმცა უმეტესად უანგაროდ, საკუთარი სახსრებით გვიწევდა მუშაობა.*

*დღეს გურიას ჰყავს შესანიშნავი, გამოცდილი მეფუტკრეები, როგორიცაა მამა-შვილი ლევან და გივი ნინიძეები (ოზურგეთი); გივი ანთაძე, მამა-შვილი რომან და გიორგი მამალაძეები (ჩოხატაური), თამაზი და ირაკლი ღლონტები (ლანჩხუთი), თემურ ვასაძე, ლალი ჩანქსელიანი, ტარიელ ცეცხლაძე, ავთო კრესელიძე, რევაზ მსხალაძე (ყველა ოზურგეთი) და სხვები...*

*ჩვენი საქმიანობის მთავარი მიზანი ქართული ფუტკრის გადარჩენაა, რომელმაც სამჯერ მიიღო ოქროს მედალი სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესზე. უნდა ვამრავლოთ პროდუქცია, დავიცვათ საერთაშორისო სტანდარტები, რადგან ჩვენი გზა ევროპისკენ მიდის.*

***–ახლა გაზაფხულია და ფუტკრის მოვლის აქტიური პერიოდია..***

*– მეფუტკრეობა თავისუფალი სამყაროს უნიკალური, მეტად საჭირო სამეურნეო დარგია. მასთან თანამშრომლობა დიდ სიფაქიზეს, ცოდნას, ზნეობას და ინტელექტს მოითხოვს.*

*დადგა გაზაფხული და ფუტკრები გააქტიურდნენ, ამიტომ მეფუტკრემაც დროულად და გეგმიურად უნდა ითანამშრომლოს ფუტკართან. გაზაფხულზე გამოზამთრებული ფუტკრის ოჯახების მდგომარეობა დიდად არის დამოკიდებული წინა წლის, დაზამთრებაში შესვლის ფუტკრის ოჯახებში დროულად და ხარისხიანად ჩატარებულ სამუშაოებზე.*

*გაზაფხულზე ყურადღებით მოწმდება ფუტკრის ოჯახები, რათა დადგინდეს გამოზამთრების შემდეგ სკაში არსებული მდგომარეობა. საგაზაფხულო შემოწმების შედეგად დგინდება საკვების რაოდენობა, ფუტკრის ოჯახის სიძლიერე, ბარტყის რაოდენობა, ბუდის ხარისხი და სანიტარული მდგომარეობა.*

*აჭარა-გურიის რეგიონში, განსაკუთრებით მთის განაპირა სოფლებში, აღინიშნება საკმაო რაოდენობის სუროს თაფლის შემოტანა, რომელიც ადრე შაქრდება (კრისტალდება). ამიტომ ფუტკრის ოჯახებს დროულად უნდა ამოვაცალოთ დაკრისტალებული თაფლიანი ჩარჩოები და ჩავუდგათ სამარაგო თაფლიანი ჩარჩოები ან გამოვკვებოთ შაქრის სიროფით, პროფილაქტიკისათვის, რომელიმე პრეპარატთან ერთად.სასურველია კვება მოხდეს დღის მეორე ნახევარში, სუსტ ოჯახებს შევუმციროთ საფრენები, რათა არ მოხდეს ქურდობა.*

*გაზაფხულზე ეტაპობრივად, თანმიმდევრულად, ოჯახის სიძლიერის მიხედვით უნდა მოხდეს ბუდის გაფართოება აშენებული, ხარისხიანი ჩასაკვერცხი ფიჭებით. რამდენიმე დღის თბილმა ამინდებმა არ უნდა წაგვახალისოს და ბუდეს უეცრად ნუ გავშლით (გავაფართოებთ), რადგან შემდეგ, მკვეთრი აციების შემთხვევაში, ფუტკარმა შეიძლება იგი ვერ დაფაროს და მოხდება ბარტყის გაციება. ღალიანობის მატებისას ვაძლევთ კარგი ხარისხის საშენ ხელოვნურ ფიჭებს, დროულად გავაფართოებთ ბუდეს, ფუტკარი არ მოცდეს და არ იფიქროს ბუნებრივ ნაყარზე.*

*გაზაფხულის პირველი ხილვის შემდეგ პროფილაქტიკურ მკურნალობას ვაწარმოებთ, როცა გარემოს ტემპერატურა პლუს 12 გრადუსს გადააჭარბებს.*

**– ფუტკრის მკურნალობა და პროფილაქტიკა გარკვეულ ცოდნას ითხოვს. რას ურჩევდით ამ კუთხით მეფუტკრეებს?**

*– მეფუტკრეობის დარგის რენტაბელურობაზე და მის განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუ არ ვიცნობთ ფუტკრის დაავადებებს, რომელიც თითქმის გაორმაგდა რეგიონში კლიმატის ცვლილებებიდან გამომდინარე.*

*საფუტკრეში გრაფიკის მიხედვით სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარება თავიდან აგვაცილებს სხვადასხვა გართულებებს.*

*ვარვატოზი ფუტკრის დაავადებებს შორის ერთ-ერთი პარაზიტული დაავადებაა. დღეისათვის არის საშუალებები და საშველი თუკი დროულად და ხარისხიანად ჩავატარებთ ღონისძიებებს. ვარვატოზთან ბრძოლის მრავალი მეთოდი არსებობს: მედიკამენტური, ფიზიკური, ბიოტექნიკური, ზოოტექნიკური მკურნალობა.*

*პროფილაქტიკა და მკურნალობა უნდა დასრულდეს მთავარი ღალიანობის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.*

*თუკი ვფიქრობთ, რომ ჩვენი პროდუქცია იყოს კონკურენტუნარიანი და მოხდეს ევროპის ბაზარზე, ამისათვის პრაქტიკაში დანერგილი ძველი ქიმიური პრეპარატები უნდა ჩავანაცვლოთ ახალი თანამედროვე, სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების სტანდარტების შესაბამისად ახალი ბიოპრეპარატებით. მაგალითად „ეკოპოლი,“ „თიმოლი “, „პოლისანი,“ „ბისანარი“, „აპიტონი“, „ჭიანჭველა მჟავა,“ „აპიმიქსი“, „ნოზელავი“, „ვაროპენი“ და ა.შ.*

**– როგორ დავიცვათ ფუტკარი კლიმატის ცვლილებებისაგან**

გვ–4

# აკაკი ღლონტი: „უნდა შევცვალოთ აზროვნება და მასთან ერთად შეიცვლება ბევრი რამ სასიკეთოდ, მათ შორის მიდგომებიც“



რთა თხილს, მოხდა მისი სპონტანურად მასიური გაშენება, ისე რომ ნიადაგი არ იქნა შესწავლილი და მივიღეთ დრამატულ შედეგები.

მიმბაძველობით საქმე არ გამოვა, როცა რაღაცას ვაკეთებთ უნდა გავაანალიზოთ და ვიფიქროთ, როგორი იქნება ის გრძელვადიან პერსპექტივაში, 10 წლის შემდეგ მაინც.

როცა მრავალწლიან კულტურასთან გვაქვს საქმე, მეტი ცოდნა და გამოცდილება გვჭირდება საქმის დაწყებამდე, ერთწლიან კულტურებში შეიძლება ნაკლები დანახარჯებით გამოასწორო შედეგი, მრავალწლიანში კი არა.

მთელ რიგ სფეროებში და მით უმეტეს, სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს გვერდში დგომა არის უმნიშვნელოვანესი. სახელმწიფო უნდა მუშაობდეს გასაღების ბაზრების მიმართულებაზე. რისი და რა რაოდენობით გატანა შეგვიძლია, სად, რომელ ქვეყანაში, რა გვჭირდება ადგილობრივი ბაზრის დასაკმაყოფილებლად. ეს მონაცემები ქვეყანას უნდა ჰქონდეს და ამის მიხედვით შეძლებს ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგების განვითარებას. უნდა ვიცოდეთ ზუსტად, თურქეთის, აზერბაიჯნის, სომხეთის, ირანის, შუა აზიიის, ევროპის ბაზრების საჭიროებები, თუნდაც ამერიკის, აზიისა და აფრიკისაც. უნდა ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფო სტრატეგია ამ მიმართულებით, გავიგოთ სად ვართ და საით მივდივართ და სად გვინდა რომ მივიდეთ ამათუიმ პერიოდში – სხვანაირად არაფერი არ გამოვა.

დღეისათვის მე, ჩემს გურულ გლეხებს შემიძლია ვურჩიო ის კულტურები, რაც მე მიმაჩნია რომ იქნება სხვებზე მეტად ეფექტიანი ჩვენს პირობებში.

რა თქმა უნდა ამას მეტად საფუძვლიანი შესწავლა და გაანგარიშება სჭირდება, მაგრამ შემიძლია გირჩიოთ წაბლი, პავლონია, ფეიჰოა.

კიდევ ერთხელ განვმეორდები, მნიშვნელოვნია ადამიანის მოტივაცია, მზაობა ცოდნის გასაღრმავებლად და სურვილი, რომ ისწავლოს და იმუშაოს. გადავხედოთ წარსულს, ჩვენს წინაპრებს არ ჰქონდათ ტექნოლოგიები, გაცილებით შეზღუდული ცოდნის არეალი გააჩნდათ, მაგრამ როგორი წარმატებულები იყვნენ სოფლის მეურნეობაში. მართალია, მაშინ დიდ როლს ტრადიცია და მემკვიდრეობა თამაშობდა, ანუ ცოდნა-გამოცდილების გადაცემა მემკვიდრეობით ხდებოდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ თუკი სწორად გაანალიზებ, გაითვალისწინებ გამოცდილებას, არ აჩქარდები და თუ გექნება ადამიანს მოტივაცია, განვითარების სურვილი, გურული გლეხის წარმატება გარდაუვალი იქნება.

**წარმოუდგენლად მეჩვენება გქონდეს ერთი ჰექტარი მიწის ფართობი და არ მოგყავდეს, ან ვერ აწარმოებდე სამას ლიტრ ღვინოს, ას ლიტრ არაყს, 60 კგ ლობიოს, ერთი ტონა სიმინდს. ყველას შეგვიძლია დღეს ოჯახი ვარჩინოთ და განვითარებისთვისაც ვიბრძოლოთ არსებულ პირობებში. რესურსი არის, გვჭირდება მუხლჩაუხრელი შრომა და განათლება.. უნდა შევცვალოთ აზროვნება და მასთან ერთად შეიცვლება ბევრი რამ სასიკეთოდ, მათ შო-რის მიდგომებიც. აი მაგალითად მე წელს შევცვალე ჩემი გეგმები თხილის კულტურასთან დაკავშირებით და მომავალ წელს ვაპირებ ის პავლონიათი ჩავანაცვლო.**

# მეფუტკრეობა და გარემო

**და როგორი უნდა იყოს ადამიანის და ფუტკრის „თანამშრომლობა“..**

*— ფუტკარი ერთადერთი არსებაა ჩვენს პლანეტაზე, რომელიც საკუთარი არსებობისთვის არ აზი-ანებს გარემოს, პირიქით, აკეთილშობილებს და ამრავლებს მას.*

*იმისათვის, რომ მაღალპროდუქტიული იყოს ფუტკრის ოჯახები, საჭიროა ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება და ათვისება.*

*ყველა მეფუტკრეს უნდა შეეძლოს საკვები ბაზის შევსება, კლიმატის ცვლილებებისგან გამოწვეული პრობლემების დაძლევა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მომთაბარეობის ორგანიზება. ტყის ზონაში საკვები ბაზაც კარგია და ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები ნაკლებია. ასეთი საქმიანობა აუცილებლად წარმატებული იქნება, რაც გამოიხატება უხვი და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებაში და თავიდან აგვაცილებს დასახლებულ უბნებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების შხამქიმიკატებისაგან ფუტკრის დაზიანებას.*

*ფუტკარი არ ვარგა ყვავილის და ყვავილი ფუტკრის გარეშე. სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს აგრარულ სექტორში ფერმერების დასახმარებლად ბიოპრეპარატების გამოყენებაზე.ერთგვარი შეთანხმება უნდა მოხდეს მებაღეებსა და მეფუტკრეებს შორის, რომ შეწამლის ზონიდან დროულად გაიყვანონ ფუტკარი.*

**— რა მნიშვნელობას ანიჭებთ რეგიონში დაცული ტერიტორიების შექმნას მეფუტკრეობისათვის?**

*— გარემოს დაცვა საყოველთაო საკაცობრიო პრობლემაა, რომელსაც ნაციონალური საზღვრები არ გააჩნია. ტყის გადარჩენის გზად მივვაჩნია სანაკრძალო, დაცული ტერიტორიებისა და ეკოპარკების სისტემების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას, მეფუტკრეობის განვითარებას, ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფას.*

*ველური ფლორისა და ფაუნის მაღალი ბიო მრავალფეროვნებით გამოირჩევა კოლხეთის ეროვნული პარკი, ხოლო გურიის ეროვნული პარკის დაარსება მიზნად ისახავს გურიის უნიკალური მთის ეკოსისტემების დეგრადაციისა და ფრაგმენტაციის შეჩერებას ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენების აღმოფხვრის გზით.*

*სოფელ მაკვანეთში (ვოგიეთი) აგიდაყვას ხეობაში ათეული წლების წინ შევქმნით ეკომუზეუმი, რომელიც წლების განმავლობაში მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ადგილობრივი ლანშაფტის გადასარჩენად. იგი წარმოადგენს ეკოლოგიურ, საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო ცენტრს. აღნი-შნულ ტერიტორიაზე ეწყობა ტურისტული ლაშქრობები, სხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები. აქ უცხოელი ტურისტებიც სტუმრობენ. მიზანი —გარემოს დაცვა და ტურიზმის განვითარებაა.*



**—რეგიონში, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში მცირე ჰესები შენდება, თქვენ როგორც ეკოლოგი, როგორ ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს იგი გარემოზე, თუნდაც მეფუტკრეობის განვითარებაზე..**

*— განახლებადმა ენერგიამ თანდათან უნდა ჩაანაცვლოს თბომატარებლების გამოყენება. დღეს მსოფლიოს მთავარი გამოწვევა გლობალური დათბობას და კლიმატის ცვლილებებს უკავშირდება. აქედან გამომდინარე ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად იზრდება. ჩვენი გეოფიზიკურიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მცირე ჰესების სწორი დაგეგმარება. მცირე ჰესები, იძლევა საშუალებას ელექტროენერგიაც მივიღოთ და დავიცვათ ბუნებრივი ლანშაფტი. სუფთა გარემო კი მეფუტკრეობის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.*

**წარმატებული ფერმერები გურიიდან – მაგალითი როგორ დავძლიოთ სიღარიბე „ინფორმირებულობიდან კეთილდღეობამდე“**

# მაიზერ ცელაძე: „თითქმის არ რჩება შესაბამისი საჭიროების მოწყვლადი ჯგუფი, რომელთა მხარდაჭერასაც ვერ ვახორციელებთ“



**ალიონი**. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომაზე საკრებულომ სხვა საკითხების განხილვასთან ერთად მუნიციპალიტეტების სამსახურების ანგარიშებიც მოისმინეს.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების უფროსებმა განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრეს და არაერთ კითხვას გასცეს პასუხი . მაგალითად, სხდომაზე მოიწონეს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის **ხათუნა სურგულაძის** ანგარიში.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, მოქალაქეთა ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება წარმოადგენს. სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურის უფროსმა **მაიზერ ცელაძემ** 2023 წლის მუშაობის ანგარიში წარმოადგინა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, 2017 წელს, მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების მიზნით 930 900 ლარი იყო გამოყოფილი, გასულ წელს ეს ციფრი მნიშვნელოვნად 2 418 500 ლარამდე გაიზარდა და 18 პროგრამული მუხლით ხდებოდა თანხების გაცემა.- რაც მთავარია, ასევე ჩაიშალა და გაიზარდა პროგრამულ მუხლებში ქვეპროგრამების რაოდენობა და სახეები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჯანდაცვისა და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

**რა სიახლეებია ბიუჯეტში?** ონკოლოგიური დაავადებული დახმარების პროგრამულ მუხლს დაემატა ქვეპუნქტი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირთა ძვირადღირებული მედიკამენტების („ჰერცეპლინი,“„პერჯეტა,“„ლაპატინი,“„ტაივერბი,“„ფეგსო“) თანადაფინანსება, წლის განმავლობაში, არაუმეტეს 4 000 ლარისა; ონკოლოგიურ ავადმყოფთათვის, ძვირადღირებული კვლევის (პედკატე) თანადაფინანსება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამულ მუხლს დაემატა ქვეპუნქტი —დღის ცენტრებისა და რეაბილიტაცია - აბილიტაციის პროგრამებში ჩართულ ბავშვთა ტრანსპორტირების ხარჯვის სრული, ან ნაწილობრივი ანაზღაურება;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (18 წლის ასაკამდე) შშმ ბავშვების საკურორტო სეზონზე სარეაბილიტციო კურსის დაფინანსება ვაუჩერული სისტემით;

2024 წლიდან, სერვისის მიმწოდებელმა ახლად ჩამოყალიბებულმა ორგანიზაციებმა, მისცა შესაძლებლობა, აღნიშნულ პროგრამებში მეტი ბავშვის ჩართვას, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობები (აუტისტური სპექტრი, ადრეული განვითარებისა და რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამები). ასევე, 18 წელს ზემოთაც ასაკის მქონე შშმ პირებსაც მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ ქვეპროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა პუნქტობრივი დახმარებები.

სხდომაზე სამსახურის უფროსმა ყველა პროგრამული მუხლით წარმოადგინა ანგარიში.

მაგალითად, ონკოლოგიური დაავადებულ პირთა დასახმარებლად შარშან ადგილობრივმა ბიუჯეტმა 213 299 ლარი გასცა; შშმ პირებზე –242 180 ლარი; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისთვის –489 200 ლარი; გენდერულ საკითხთა, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამით –68 460 ლარი. მიმდინარე წელს თანხა გაზრდილია.

მაიზერ ცელაძემ რამდენიმე კითხვაზეც გააკეთა კომენტარი:

*მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამებში ასახულია ბავშვთა დახმარება, რადგან ბავშვები შედიან იმ დაუცველ, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების შემადგენლობაში, რომლებიც რამდენიმე პროგრამით მოსარგებლენი არიან.*

*აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგი მნიშვნელოვანი იყო თითოეული მონაწილისათვის. მიუხედავად მრავალმხრივი პროგრამული დახმარებისა, ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ჯგუფები, რომლებიც ვერ ხვდებიან პროგრამით მოსარგებლენი. ამიტომ სოციალური პროგრამის შემუშავებისას არსებობს საჭიროება, დახმარება-შედეგზე ორიენტირებული. შესაძლებელია უფრო მიზნობრივად დაიგეგმოს ყველა პროგრამა.*

*მოქალაქეების მომართვიანობიდან გამომდინარე, ისინი აწარმოებენ მონიტორინგს, ალაგებენ საჭიროებებს პრიორიტეტების მიხედვით, რაც კვლავ აისახება მომდევნო წლის ბიუჯეტში..*

# ქშწკგ საზოგადოება. ილია, გურულებთან და უგურულებოდ



დიმიტრი ყაზბეგი

დიმიტრი ყაზბეგის გაცნობის დროა-მეთქი დავწერე და ცოტა არ იყოს შემრცხვა, ამიტომ ბოდიშს ვიხდი, გაზეთ ,,ალიონის" ყველა მკითხველის წინაშე, ვინც ბატონ დიმიტრის ჩემზე უკეთ იცნობდა. რაც შეეხება მათ, ვინც ჯერ არ იცნობს დანაპირებს აუცილებლად ავუსრულებ, ოღონდ, იქამდე მცირე ლირიული გადახვევა.

**,,ილია და გურულების"** პირველივე წერილში ვწერდი, ილია ის კაცი იყო ცოტა ადამიანებთან ურთიერთობით, ბევრ საქმეს რომ აგვარებდა და არამგონია ილიას ბევრი მეგობარი ჰყოლოდა-თქო.

მას მერეც არაფერი შეცვლილა, რაც ილიას ,,თხზულებათა სრული კრებულის (20 ტომს მოიცავს) მეოცე ტომიდან ,,პირთთა ანოტირებული საძიებელი", თავად გავაციფრულე, მერაბ მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკის კოლექცია ,,ილიასათვის" და მაინც, იყო მეგობართა მცირე წრეში, პეტრე ნაკაშიძის, ტოლი-სწორი მეგობარი, ეს კაცი დიმიტრი, ანუ მიტკა ყაზბეგი გახლდათ. დროა, ბატონი დიმიტრის ბიოგრაფია გავახსენო გაზეთ ,,ალიონის" მკითხველს, რასაკვირველია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლითეკის ბიოგრაფიული ლექსიკონიდან:

**დიმიტრი ყაზბეგი.**

სხვა სახელი: მიტკა ყაზბეგი

დ.ყ. (ფსევდონიმი)

დაბადების თარიღი:1838

გარდაცვ. თარიღი:1880 (42 წლის ასაკში);

დაკრძალვის ადგილი: სოფ. სტეფანწმინდა;

კატეგორია: პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე.

**ბიოგრაფია**

დაბადების ადგილი: დაბა სტეფანწმინდა.

დიმიტრი (მიტკა) ყაზბეგი დაიბადა პოდპორუჩიკ ნიკოლოზ ყაზბეგისა და სალომე დუდაროვას ოჯახში. მისი პაპა იყო სტეფანწმინდის მოურავი გაბრიელ ყაზბეგი. დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგში, სადაც ხალხოსნური იდეების გავლენის ქვეშ მოექცა. იყო ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი. 1872 წლის 7 დეკემბერს ილია ჭავჭავაძე თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველად აირჩიეს, ხოლო დირექტორებად დიმიტრი ყაზბეგი და დავით ყიფიანი. დიმიტრი ყაზბეგი თან ახლდა რუსეთში ფინანსთა სამინისტროსგან ბანკის წესდების დამტკიცების დასაჩქარებლად გამგზავრებულ ილიას. შემდგომ წლებში ძირითადად სტეფანწმინდაში ცხოვრობდა. იყო ხევის მხარის პირველი განმანათლებელი. უსასყიდლოდ შეასწავლა წერა-კითხვა რამდენიმე გლეხს, რომელთაგან გამოირჩეოდა პავლე ღუდუშაური; ეს უკანასკნელი შემდეგ თვითონაც მასწავლებლობდა. თანამედროვეთა გადმოცემით იყო ძლიერ განსწავლული და დარბაისელი პიროვნება. დიმიტრი ყაზბეგის და ელისაბედი თავის მოგონებებში (გამოქვეყნდა 1924-1926 წლებში ჟურნალ ,,მნათობში") ამტკიცებდა, რომ სწორედ დიმიტრი ყაზბეგი იყო რომანების ,,ელგუჯასა" და ,,ხევისბერი გოჩას" ნამდვილი ავტორი, მათმა ბიძაშვილმა ალექსანდრე (სანდრო) ყაზბეგმა კი ამ ნაწარმოებების ხელნაწერები დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ მიითვისა. ამ ბრალდებას მაშინვე გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები (მიხეილ ზანდუკელი), ასევე მოწინააღმდეგეები (ვახტანგ კოტეტიშვილი). თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითხი ეჭვქვეშ არ დგას. დიმიტრი ყაზბეგის ნაწარმოები ,,მავნე სულები" გამოქვეყნებულია ჟურნალში ,,დროშა" (1968 წელი, 21–22).

**წყარო:** მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის: ყაზბეგების საგვარეულოს მოღვაწენი/ვანო შადური.-თბ.,1985; წყარო: ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი. წ. 1/ შეადგ., წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო სოლომონ ხუციშვილმა. -თბ., 1961. -გვ.138"

მკითხველს თუ დააინტერესებს, ,,მნათობის" 1924 წლის მეშვიდე-მერვე ნომრიდან იწყება დიმიტრი ყაზბეგის ამბები.

## დიმიტრი ყაზბეგის და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები

***თავი მეშვიდე***

*მე აქ რამოდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა ჩემს უფროს ძმას დიმიტრიზე. დიმიტრი ყმაწვილობიდგანვე სხვანაირი ხასიათის იყო. ის იყო პირმშო შვილი მამის ჩემისა, ჩემზე ბევრით უფროსი, ასე, რომ თაობიდგანვე მე ის მოსწავლეთ მახსოვს. პირველათ დუშეთში სწავლობდა და შემდეგ თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. რაც ჩემი თავი მახსოვს მე დიმიტრის, როგორც უფროსს, ისე ვუყურებდი და, მაშასადამე, შიში და პატივისცემა მქონდა. ის იყო ჭკვიანი და სწავლაში მუყაითი ყმაწვილი. იმ თაობიდგანვე ნიჭი გამოიჩინა და საგანგებოთ სწავლობდა; შინაც რომ მოვიდოდა ხოლმე ზაფხულობით, სულ მუდამ წიგნებს კითხულობდა, ამასთან იყო ლეკურის მოთამაშე, უყვარდა სოფლური სიმღერა, ცხენზე მშვენივრათ იჯდა და იარაღს მარჯვეთა ხმარობდა. მონადირობას ეჩვეოდა. ვინც ნადირობ(ას) წავიდოდა (და ეს ხომ ხშირი იყო ჩვენში), ისიც გაუამხანაგდებოდა. შინ ყველაფერს მთის ჩვეულებას ასრულებდა: როცა სტუმრები მოვიდოდნენ, თავს დაადგებოდა, ცხენს ჩამოართმევდა და სხ. მანდილოსნებთან, როგორც დიდი მამაკაცი. ისე მოკრძალული და მორიდებული იყო. არც ერთ ხატობას, ღამის თევას არ მოაკლდებოდა და სადაც ის იყო, მხიარულებაც იქ ბედობდა!"...*

მოდით, ჩვენც, სწორედ აქ, სადაც მხიარულება ბედობს იქ დავასრულოთ და კიდევ ერთი ამბავი გავიხსენოთ ამ წერილს რომ შეეფერება ისეთი...

,,მატიანეს" კალენდრით 1878 წლის 20 ივნისია, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და ბესარიონ ღოღობერიძე ქშწ-კგ საზოგადოების წესდების პროექტს, რომელზეც 123 ადამიანის ხელმოწერაა, დასამტკიცებლად წარუდგენენ კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს უფროს გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის"...

ვინ ბრძანდება ბატონი დიმიტრი?

ბატონი დიმიტრი, ,,სენატორი, ილია ჭავჭავაძის ქვისლი, 1872-1876 წლებში ბაქოს გუბერნატორი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის დირექტორი გახლდათ."

,,მატიანეს" კალენდრით კი ,,1879 წლის 25 მარტამდე", ილია მონაწილეობს ქშწ-კგ საზოგადოების წესდების პროექტის საბოლოო შესწორება-რედაქტირებაში..."

მაგრამ ეს რაა იმ ამბავთან შედარებით, რაც ახლა უნდა გაგახსენოთ.

*,,სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭო წესდებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლის ამოღებას მოითხოვდა, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს უფროსმა, გენერალ—-ლეიტენანტმა დიმიტრი სტაროსელსკიმ ეს მოთხოვნები არ გაიზიარა და მხოლოდ უმნიშვნელო შენიშვნების გათვალისწინება მოითხოვა".*

მოდით, აქვე ვთქვათ, ბატონ დიმიტრის, დიმიტრი სტაროსელსკის სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უფრო ადრე შევხვდით.

იდგა 1878 წლის 24 ოქტომბერი...

იდგა და სწორედ ამ დღეს, ,,კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო, სამოქალაქო საქმეთა მიმართულების უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის ხელმოწერით, განცხადებით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს 1879 წლიდან ილია ჭავჭავაძისათვის გაზეთ ,,ივერიის" ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთების ნებართვის მიცემის შესახებ".

ამ ჟურნალის პირველი-სამი ნომრის სრულად ხილვა, არამხოლოდ გაზეთ ,,ალიონის" მკითხველს, არამედ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, რომელიც მერაბ მამარდაშვილის ციფრულ ბიბლიოთეკის კოლექციაში, ,,XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკაშია" განთავსებული.

,,ამასობაში, მატიანეს კალენდრით 1879 წელია, 31 მარტი. მეტად მნიშვნელოვანი თარიღი იმდროინდელი და შემდგომი პერიოდის საქართველოსთვის, ბოლოს და ბოლოს ,,მტკიცდება ქშწ-კგ საზოგადოების პროექტი, რომლის შემუშავებაშიც მას (ვის თუ არა, ილიას!) დიდი წვლილი მიუძღვის". იმავე წლის 14 აპრილია! ,,მტკიცდება ქშწ-კგ საზოგადოების წესდება, რომლის შედგენაშიც მას (კიდევ ერთხელ, ვის თუ არა, ილიას!) დიდი წვლილი მიუძღვის".

საოცარი თანხვედრაა, 31 მარტი და 14 აპრილი!

*,,1879 წლის 18 აპრილს, ილია, ,,დიმიტრი ყიფიანთან ერთად ხელს აწერს მოსაწვევ ბარათებს, რომლებითაც ქშწკგ საზოგადოების წევრებს, 15 მაისს ეპატიჟებიან საზოგადოების დამფუძნე-ბელ კრებაში მონაწილეობის მისაღებად. ადრესატებს ასევე ეგზავნება წესდების ნაბეჭდი ტექსტი".*

აბა, ისე როგორ იქნება, *,,ხელმწიფე დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის სხვაგან მყოფობის გამო თანაშემწე მისი გენერალ-ადიუტანტი კნიაზი სვიატოპოლკ მირსკის" დამტკიცებული წესდებულება, თფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ კავკასიის სამესტნიკოში"*

მსურს, ამ საზოგადოების მიზანი და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილი ვამცნო გაზეთ ,,ალიონის" მკითხველს"

***I. მიზანი საზოგადოებისა.***

*§ 1.*

*საზოგადოებას მიზნათა აქვს წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაც კი კავკასიის სანამესტნიკოში ისინი მოსახლობენ.*

*§ 2.*

*საზოგადოება ამ მიზნამდინ მისაწევნელად:*

*ა. სადაც შკოლები არის გახსნილი იმათ ხელს უმართავს;*

*ბ. სადაც საჭირო იქნება, ახალი შკოლების გახსნას ეხმარება, ან თვითანა ჰხსნის თავის ხარჯით.*

*გ. სახალხოთ წიგნების კითხვასა ჰმართავს და საკითხავებსა ჰხსნის;*

*დ. გამოუშვებს სასწავლებელს, სახელმძღვანოს და სხვა წიგნებსა სახალხო საკითხავად, აგრეთვე რამდენსაც შეიძლებს და საჭიროება მოითხოვს, თავისს ამბებს დაჰბეჭდავს, ან სხვა დროებითს გაზეთსა თუ ჟურნალსა, იმ რიგითა და ზომით, როგორც ჯეროვანის წესით მთავრობა დაამტკიცებს.*

*ე. შეადგენს თავისს სამწიგნობროს, როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად; წიგნების საწყობებს, რაც მუქთად თუ ფასით იქნება დასარიგებელი და პედაგოგიისათვის გამოსადეგი ნივთების საწყობებსა;*

*ვ. ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს, რასაც კი შეიძლებს, რომ შკოლებს გამოცდილი მასწავლებლები უშოვოს.*

*ზ. ჰმართავს საპედაგოგიო კურსებსა და მასწავლებლების თავის მოყრასა;*

*?. რომელნიც სახალხო შკოლებში უფრო ნიჭიერი შეგირდები იქნებიან, იმათგან სახალხო მასწავლებლებს მოამზადებს, ან იმ სასწავლებლებში, რაც აქამდისინ არის გამართული, ანარა და თვითან თავისი ხარჯით გამართავს ამისათვის ცალკე სასწავლებელსა, ყოველს ამ შემთხვევებში საზოგადოება იმ კანონებს ადგია, რაც ჰმოქმედებს.*

*§ 3.*

*საზოგადოება თავისს მიზანს ამითი მიაწერს, რომ სახალხო "შკოლებში დასაწყისს სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებსა, და ჰზრუნაეს რუსული ენის სწავლებისათვის თანხმად 22 ნოემბერს 1873 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო, რჩევის აზრისა, წარმოთქმულისა სწავლების ნაწილის დასაწყობად კარკასიაზედ და კავკასიას გადმოღმა.*

**II. შეძლება საზოგადოებისა**

§ 4.

*საზოგადოების შეძლებას შეადგენ-ენ:*

*ა. წევრთაგან შესატანი ფულები;*

*ბ. შემთხვევითი და ნებაყოფლობითი შეწირულობა, ან სხვა შესატანი კერძო პირებისაგან, ან სხვა საზოგადოებათაგან;*

*გ. შემოსავალი საზოგადოებისაგან გამონაცემი წიგნებისა, სახალხო საკითხავებისა და სპეკტაკლებისა და სხვა ყოველი კანონით ნება დართული საშოვარი.*

*შენიშნვა. საზოგადოებას ნება აქვს პირო ბიანი შესაწირავიც მიიღოს ხოლმე, თუ რომ პირობა არ იქნება საწინაღმდეგო რითიმე ან საზოგადოობის მიზნისა, ან მმოქმედი კანონებისა.*

*§ 5.*

საზოგადოება თავის ფულებს ინახავს ან თავისს კასსაში, ან ბანკებში. რა წესით უნდა შეინახებოდეს ეს ფულები, ითვლებოდეს, შემოწმდებოდეს და იხარჯებოდეს, ეს წესი საზოგადოების საერთო კრებამ უნდა დაადგინოს.

III. **შედგენა საზოგადოებისა**

**ზევით დაბრუნება**

§ 6.

*საზოგადოებას შეადგენენ წევრნი:*

*ა. შემდგენნი; ბ. საპატიონი; გ. ნამდვილნი და დ. დამხმარებელნი. წევრად მიიღებიან ორივე სქესის პირნი განურჩევლად.*

*§ 7.*

*შემდგენ წევრად ითვლებიან: ა. პირი, რომელთაც ამ წესდებულებაზე ხელი მოაწერეს; ბ. პირნი, რომელთაც,*



30. 878
2

УСТАВЪ

ТИФЛИССКАГО ОБЩЕСТВА РАСПРОСТРАНЕНІЯ ГРАМОТНОСТИ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО НАСЕЛЕНІЯ НАМѢСТНИЧЕСТВА КАВКАЗСКАГО.

წესდებულება

ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გააახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ კავკასიის სანამესტნიკოში.

ხვებ-2000
შემოწმებულია

*შემდგენების რიცხვში ვიყოთო, სურვილი გამოაცხადეს ცალკე წერილებით, მანამდისინ ეს წესდებულება დასამტკიცებლად წარდგენილი იქნებოდა, და გ. იმათი და ამათი მაგიერნი, როგორც ქვეით ამავე §-ში არის უფრო გარკვევით მოყვანილი.*

*§ 8.*

*შემდგენ წევრს შეაქვს—ან ყოველწლივ არა ნაკლებ ოცი მანეთისა,—ან სულ ერთათ—არა ნაკლებ სამასი მანეთისა. შემდგენ წერთ რიცხვი უცვალებლათა რჩება. როდესაც ამ რიცხვს გამოაკლდება ვინმე, იმის მაგიერს დანარჩენი შემდგენები ნამდვილ წევრთაგან აღმოარჩევენ. ამ ახალ აღმორჩეულსაც იმ ზომით შეაქვს ფული, რა ზომითაც იმის წინა მოადგილეს შეჰქონდა.*

*საპატიო წევრად ისეთი პირები აღირჩევიან, რომელთაც დიდი რამე სარგებლობა აღმოუჩენიათ მწიგნობრობის გავრცელებისათვის, თავისი პირადი მოქმედებით, ან ნივთიერებითი შეწირულობით, ასე რომ შეწირულობის ფასი იყოს არა ნაკლებ ექვსასი მანეთისა.*

*შენიშნვა. შეიძლება წოდება საპატიო წევრი სა მიეთვისოს აგრეთვე იმ წევრსაც, რომელიც მეორედ იქნება სამიწლით აღჩეული საზოგადოების პრედსედატად, ან თავსმჯდომარედ,–ან მესამედ იქნება სამიწლით აღრჩეული საზოგადოების მმართველობის (პრავლენიის) წევრად.*

*§ 9.*

*ნამდვილ წევრად ითელებიან პირნი, რომელნიც სურვილს გამოაცხადებენ, რომ საზოგადოების სასარგებლოდ შეჰქონდეთ წელიწადში არა ნაკლებ ექესი მანათისა, ან არა და ერთათ არა ნაკლებ ასი მანეთისა, თუ საერთო კრება მიიღებს ამ წოდებაში ორი შემდგენის, ან ოთხი ნამდვილი წევრის წინადადებით.*

*§ 10.*

*რომელიც პირი თავისი უსასყიდლო მოქმედებით ეხმარება საზოგადოების საქმეს, შეიძლება საზოგადოების მმართველობამ მიიღოს წევრად-დამხმარებელად, რომელსაც ფულის შეტანა არ ემართება."*

**ნაადრევი პ.ს.**

წაიკითხა დედაჩემმა წერილი.

წაიკითხა და უცებ:

- გიო, დიმიტრი ყაზბეგის ამბები ასე უდროოდ რატომ შეწყვიტე?!

- დე, იქ მერე და მერე ისეთი ამბებია...

- კაი, ბიჭი ხარ შენ! -მეუბნება ლამის 90 წლის დედა, მე ლამის 60 წლის გიოს...

მეუბნება და მჯერა მე...

სხვათასორის, სულ არ მინდა, თქვენც, დაგაჯეროთ...

**გიო კილაძე**

გაგრძელება დასაწყისი ,,ალიონი" № 5

# ბიძინა ვასაძის ხსოვნას



გარდაიცვალა ცნობილი ბიზნესმენი, შპს ,,ვასაძის პურის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **ბიძინა ვასაძე.**

ბიძინა ილიას ძე ვასაძე დაიბადა 1961 წელს სოფელ ლიხაურში. 1964 წელს ილია ვასაძის ოჯახი საცხოვრებლად ქ. ოზურგეთში გადავიდა. ბიძინამ ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ამასთანავე მან პარალელურად უმაღლესი იურიდიული განათლებაც მიიღო.

მის შრომით ბიოგრაფიაში, რამდენიმე სამსახურის ჩამონათვალია. მუშაობდა დვაბზუს კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტრად, შემდეგ – ოზურგეთის აგრო-სამრეწველო გაერთიანებაში.

ბიძინა ვასაძე გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ოზურგეთის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსად დანიშნეს, ხოლო შემდეგ, საგადასახადო ინსპექციაში მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

2003 წლიდან ბიძინამ სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობას თავი დაანება და ბიზნესით დაინტერესდა. მან ძმასთან, მერაბ ვასაძესთან ერთად შექმნა შპს ,,ვასაძის პური,“რომელიც შემდგომში, ერთ-ერთი წარმატებული საწარმო გახდა რეგიონში.

ბიძინა ვასაძე, 2015 წელს ბიზნეს რეიტინგების კავშირის მიერ სპეციალური მედლით დაჯილდოვდა.

ბოლო წლებში, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, კვლავ წარმატებულად უძღვებოდა საწარმოს, ეწეოდა ქველმოქმედებას, გვერდით ედგა სპორტს და ა.შ.

იგი იყო შესანიშნავი ოჯახის უფროსი. შვილები წარმატებულნი არიან.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი და კეთილშობილი ადამიანი, რომლისთვისაც წარმატება სხვების გვერდში დგომასაც ნიშნავდა. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**მეგობრები**

გაზეთ ,,ალიონის“ რედაქცია იუწყება **ბიძინა ვასაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# დიმიტრი ხომერიკის გახსენება



დიმიტრი ხომერიკი (შუაში) ძმებთან ერთად.

დიმიტრი მელიტონისძე ხომერიკი დაიბადა 1929 წლის 19 ნოემბერს, ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში. განათლება მიიღო შრომის საშუალო სკოლაში. სიმღერის ნიჭი დიმიტრის ბავშვობიდან აღმოაჩნდა და ბავშვობაში სკოლის გუნდში მღეროდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა შრომის საკოლმეურნეო გუნდში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი ვლადიმერ ერქომაიშვილი.

1968 წელს ოზურგეთში გაიხსნა გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი 4-წლიანი სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა, ასევე ცნობილი ლოტბარი და ქორეოგრაფი გიორგი სალუქვაძე. ოთხწლიანი სწავლების შემდეგ დიმიტრიმ მიიღო სათანადო დიპლომი, რითაც მას ეძლეოდა უფლება შეექმნა გუნდები და ესწავლებინა გურული სიმღერები და საგალობლები .1973 წელს სკოლის კურსდამთავრებულთაგან გიორგი სალუქვაძემ შექმნა 17-კაციანი ანსამბლი ,,იადონი”, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა.

გიორგი სალუქვაძის გარდაცვალების შემდეგ, 1990 წლიდან ანსამბლს დიმიტრი ხომერიკი ხელმძღვანელობდა. პარალელურად დიმიტრი მუშაობდა სოფლის გუნდებში: განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელი მელექედური, სადაც მან 16 წელი იმუშავა და ნაყოფიერადაც. მუშაობდა აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში.

ანსამბლი ,,იადონი“საგასტროლოდ მოამზადა ესტონეთში, ბელორუსიაში, მოსკოვში, პეტერბურგში, თურქეთში და სხვა.

დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ფესტივალების ლაურეატის წოდება, მრავალი სიგელი და მედალი.

დიმიტრი ხომერიკი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია გურულ მომღერალთა და ლოტბართა შორის. მე მასთან ვმეგობრობდი და მაფასებდა, როგორც მის კოლეგას. მას ჩემთან უმღერია და უთქვამს: ,,ამ კაცთან სიმღერა არ შეგეშლებაო.“

დიმიტრი ხომერიკი შრომისმოყვარე, პატიოსანი, ოჯახის და მეგობრების მოყვარული კაცი იყო. ამიტომაც მას მისი ნაცნობები და მეგობრები სიყვარულით იგონებენ და აფასებენ მის ღვაწლს.

დიმიტრი ხომერიკი გარდაიცვალა 2014 წელს. დაკრძალულია მოიდანახეს სასაფლაოზე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი დიმიტრი.

**ტრისტან სიხარულიძე,**
ხელოვნების ქურუმი.

# სკანვორდი



გორაკი
სასამართლო
იაპონური ავტომობილი
ალეგიერი
ბადაგისაგან
საფონდო
თურქული ფულის ერთეული
რაგბში
ნავთობის საზომი ერთეული
ლოს-ანჯელესის საკალათბურთო გუნდი
ყვავილი
ცილის უჯრედი
სახელმწიფო ევროპაში
მაკედონიის ჯარის განლაგება
მარცვლეული
ყველის ჭურჭელი
სიცილი
გამთენიის
სოფელი გურიაში
ქარიშხალი
მდინარის
ემანუელ
მდინარე აჭარაში
მართლმადიდებლური დღესასწაული
კომპიუტერული თამაში
ცხოველთა დაჯგუფება

## პასუხები:

სურათზე –პეტრე მელიქიშვილი; ლოს ანჯელესის საკალათბურთო გუნდი –ლეიკერსი; გორაკი –ბორცვი; სიცილი -ქრიამული; სასამართლო –საქალაქო; გამთენიო –გარიჟრაჟი; საფონდო –ბირჟა; ყვავილი –გვირილა; იაპონური ავტომობილი –ჰონდა; ცილის უჯრედი –რიბოსომა; ალეგიერი -დანტე; მაკედონიის ჯარის განლაგება –ფალანგა; სახელმწიფო ევროპაში –იტალია; ბადაგისგან – თათარა; ყველის ჭურჭელი –დერგი; მარცვლეული –ფეტვი; ქარიშხალი –გრიგალი; სოფელი გურიაში –გომი; ემანუელ-კანტი; მდინარის -კალაპოტი;კომპიუტერული თამაში –მარიო; ცხოველთა დაჯგუფება –ხროვა; ნავთობის საზომი ერთეული –ბარელი; მართლმადიდებლური დღესასწაული –ხარება; რაგბში –ლელო; მდინარე აჭარაში -ჭოროხი; თურქული ფულის ერთეული –ლირა.

# ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში

დასაწყისი „ალიონი“ № 4




## საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა (1908 წლის 28 მაისი)

1908 წლის 28 მაისს თბილისში ტერორისტმა მოკლა რუსი ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი **ნიკონი(სოფიისკი).** ოფიციალური ვერსიით, მკვლელობის შემკვეთად იმთავითვე დასახელდა ქართველი სამღვდელოება, კერძოდ, ქართველი ავტოკეფალისტები. ძიებაც სწორედ ამ ვერსიის დასაბუთებას ცდილობდა. სადღეისოდ სანდო დოკუმენტური მასალის საფუძველზე დადასტურებულია, რომ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან ქართველ ავტოკეფალისტებს არანაირი კავშირი არ ჰქონიათ, მკვლელობა დაგეგმა და განახორციელა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტმა. მკვლელობის დამკვეთი ვარაუდობდა, რომ შეძლებდა ეგზარქოსის მკვლელობის ქართველი ავტოკეფალისტებისათვის გადაბრალებას. იმხანად სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს, მაგრამ სიმართლე საბოლოოდ მაინც არ დაიმალა. სანდო დოკუმენტური მასალა ნათლად ადასტურებს, რომ ტერორისტული აქტი ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ორგანიზებული და განხორციელებული.

1908 წლის 28 მაისს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, პოდპოლკოვნიკი **ივან ერიომინი,** პეტერბურგში ჟანდარმთა შეფს, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორსა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსის მეთაურს ასეთი შინაარსის დეპეშას უგზავნის:

*„დღეს, დილის 11 საათზე, სინოდალურ კანტორაში შესვლისას კიბეზე მაუზერის ოთხი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრეს საქართველოს ეგზარქოსი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. დაიჭრა ეგზარქოსის უკან მიმავალი მსახური. ორივე მკვლელი, ტუზემცები, მიიმალნენ. მათი ნიშნები დადგენილია. ძებნა და ძიება მიმდინარეობს“.* 28 მაისსვე პოდპოლკოვნიკი ერიომინი იმავე ადრესატებს მეორე დეპეშასაც უგზავნის. ცნობა კვლავ საგანგაშო იყო: *„დაახლოებით დღის ორ საათზე მძიმედ დაჭრეს თბილისის ოხრანკის უფროსი როტმისტრი კარაულოვი, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის მკვლელობის საქმის გამოძიებიდან (მკვლელობის ადგილიდან – ვ. გ.) ბრუნდებოდა ეტლით“.*

1908 წლის 28 მაისს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, პოდპოლკოვნიკი **ივან ერიომინი,** პეტერბურგში ჟანდარმთა შეფს, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორსა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსის მეთაურს ასეთი შინაარსის დეპეშას უგზავნის:

*„დღეს, დილის 11 საათზე, სინოდალურ კანტორაში შესვლისას, კიბეზე მაუზერის ოთხი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრეს საქართველოს ეგზარქოსი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. დაიჭრა ეგზარქოსის უკან მიმავალი მსახური. ორივე მკვლელი, ტუზემცები, მიიმალნენ. მათი ნიშნები დადგენილია. ძებნა და ძიება მიმდინარეობს“. 28 მაისსვე პოდპოლკოვნიკი ერიომინი იმავე ადრესატებს მეორე დეპეშასაც უგზავნის. ცნობა კვლავ საგანგაშო იყო: „დაახლოებით დღის ორ საათზე მძიმედ დაჭრეს თბილისის ოხრანკის უფროსი როტმისტრი კარაულოვი, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის მკვლელობის საქმის გამოძიებიდან (მკვლელობის ადგილიდან – ვ. გ.) ბრუნდებოდა ეტლით“.*

ნიკონის მკვლელობის შესახებ თბილისში გამოძიებას ერთი კვირის შემდეგაც კი სერიოზული ვერსია არ გააჩნდა. მოულოდნელად 1908 წლის 4 ივნისს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისაგან თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა მიიღო დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: *„პეტერბურგის სასულიერო წრეებში გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეგზარქოსის მკვლელობა მოხდა არქიელ გრიგოლის წაქეზებით, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. შური-სძიების საბაბად შეიძლება ქცეულიყო გარდაცვლილი ნიკონის ხელში ისეთი დოკუმენტების მოხვედრა, რომლებიც ძლიერ უტეხდა სახელს გრიგოლს. დოკუმენტების ნაწილი ცოტა ხნის წინათ უნდა გამოგზავნილიყო და, ამდენად, შეიძლება აღმოჩნდეს ეგზარქოსის საქმე-ებში“.* პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თბილისის გუბერნიის ჟანდარმ-ერიის სამმართველოს უფროსს ავალებდა, ზემოთ მოყვანილი ვერსია „სიტყვიერად საიდუმლოდ ეცნობებინა“ თბილისის სასამართლო პალატის პროკურორისა-თვის. ამრიგად, თბილისში ძიებას ნიკონის მკვლელობის შესახებ არავითარი ვერსია არ გააჩნდა. ვერსია უკარნახეს პეტერბურგიდან.

თბილისის გუბერნიის ჟანდარ-მერიის სამმართველომ, თბილისის ოხრანკამ და თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა ნიკონის მკვლელობის საქმის ძიება ისე წარმართეს, რომ მკვლელობაში ბრალი დასდებოდა ქართველი ავტოკეფალისტებს. პოდპოლკოვნიკი ივან ერიომინი სწრაფად მიხვდა, თუ რა მიმართულებით აპირებდა პეტერბურგი გამოძიებას. სწორედ ამიტომ მან ძიების მიერ მოპოვებული მასალის საწინააღმდეგოდ დაუყოვნებლივ უპასუხა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის დეპეშას. ერიომინი აღნიშნავს, რომ ეგზარქოსის მკვლელობა ორგანიზებული იყო საქართველოს უმაღლესი სამღვდელოების – ავტოკეფალისტების – მიერ, უშუალოდ მკვლელობა კი განხორციელდა დაქირავებული მკვლელების ხელით.

ძიების ყურადღების ცენტრში თავიდანვე მოექცა ეპისკოპოსი **კირიონი** (ერობაში გიორგი საძაგლიშვილი), რომელიც, იმხანად საქართველოდან განდევნილი, ხარკოვის ახლოს, კურიაჟის მონასტერში ცხოვრობდა. ეპისკოპოსი კირიონი ძიების მიერ მიჩნეული იქნა ნიკონის მკვლელობის *„ინტელექტუალურ ორგანიზატორად“*. დაიწყო სამხილის ძიება. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო და თბილისის ოხრანკა ცდილობდნენ დაედგინათ, იყო თუ არა ეპისკოპოსი კირიონი ფარულად ჩამოსული საქართველოში ნიკონის მკვლელობის წინა ხანებში. გაიმართა მიმოწერა ხარკოვის გუბერნატორსა და ოხრანკის უფროსთან, რომელთაც ვერ დაადასტურეს ეპისკოპოს **კირიონის** ხარკოვიდან საქართველოში გამომგზავრების ფაქტი. სამაგიეროდ, ჟანდარმერიამ ხელში ჩაიგდო ეპისკოპოსის მიერ თბილისში წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარ **იოსებ ჩიჯავაძისადმი** გამოგზავნილი ორი წერილი. ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც დათარი-ღებულია 1908 წ. 27 აპრილით, დგინდება, რომ ეპისკოპოსი კირიონი მართლაც ყოფილა თბილისში 1908 წლის აპრილში, თუმცა წერილიდან არ ჩანს, როდის ჩამოვიდა იგი. აღნიშნული წერილის საფუძველზე ძიებამ დაადგინა, რომ ეპისკოპოსი კირიონი თბილისში იმყოფე-ბოდა აღდგომამდე და სამი დღე ცხოვრობდა ავტოკეფალისტ იოსებ ჩიჯავაძის სახლში, ხოლო შემდეგ გაემგზავრა თავის მამულში, გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში. ეს იყო და ეს. ძიებამ ეპისკოპოს კირიონის რაიმე კავშირი ნიკონის მკვლელობასთან ვერ დაადასტურა.

1908 წლის 7 ივლისამდე ძიების მასალებში არ იყო არც ერთი ყურადღსაღები დოკუმენტი, რომელიც დაამტკიცებდა ქართველი ავტოკეფალისტების კავშირს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან. 7 ივლისს ასეთი დოკუმენტიც გაჩნდა. წინასწარ ვიტყვით, რომ ეს დოკუმენტი აშკარად შეთითხნილია ან თვით ჟანდარმერიის მიერ, ან ჟანდარმერია შეცდომაშია შეყვანილი დაინტერესებული პირის (პირების) მიერ. თუმცა ჟანდარმერია ამ უკანასკნელ შემთხვევაში დიდად არ დაზარალებულა, რადგან კარგა ხანია ძიება მიესწრაფოდა ისეთი მასალის ხელში ჩაგდებას, რომელიც დაადასტურებდა ნიკონის მკვლელობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მონაწილეობას.

ახლა თვით დოკუმენტის შესახებ: 1908 წლის 7 ივლისს ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის საპოლიციო სამმართველოს უფროსი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს აცნობებს შემდეგს: 2 ივნისს თბილისში, ალექსანდრეს ბაღში, საუბრობდა სამი პიროვნება: სიონის ეკლესიის მღვდელი თოთიბაძე, კიდევ ერთი მღვდელი, რომლის ვინაობაც ჟანდარმერიისათვის უცნობი დარჩა და მუშა მიშა შადინოვი. საუბარი შეეხებოდა ნიკონის მკვლელობის გამომწვევ მიზეზებს. სამთა საუბრიდან დგინდება, რომ თოთიბაძე ძლიერ უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ რუსეთის ეკლესიის სინოდი საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას არ აძლევდა. ამაში იგი ადანაშაულებდა ყოფილ ეგზარქოს ნიკონსა და რუსული სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებს. თოთიბაძეს საუბრისას ისიც გაუხსენებია, რომ 1907 წელს ავტოკეფალიის მომხრე ქართველი სამღვდელოების კრება ეგზარქოსმა ნიკონმა კაზაკებს დაარბევინა. ის აღშფოთებას ვერ მალავდა ავტოკეფალიის მომხრეთა (ეპისკოპოს კირიონის, ეპისკოპოს ლეონიდესა და სხვების) დასჯის გამო. საუბრის ბოლოს თოთიბაძეს უთქვამს: *„ეხლა რუსები ქართველების უკმაყოფილონი არიან ეგზარქოსის მკვლელობის გამო, მაგრამ განა რუსებმა თვითონ არ მოჰკლეს დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, შიო ჩიტაძე და სხვები. რუსები ფიქრობენ, რომ ჩვენ, ქართველები, ამას ყურადღების გარეშე დავტოვებთ, არა, ჩვენც ასევე მოვკლავთ“.* ძიებას არ დაუდგენია არავითარი დეტალი: არ დაუკითხავს დეკანოზი ანტონ თოთიბაძე და მიშა შადინოვი, არ დაინტერესებულა, ვინ იყო ის მეორე მღვდელი, რომელიც საუბარში მონაწილეობდა. მასალებიდან არ ჩანს, როგორ იქნა მოპოვებული ეს ინფორმაცია, სანდო იყო თუ არა დამსმენი, ცნობა აგენტურული იყო თუ შემთხვევითი ხასიათისა და სხვ. რაც მთავარია, გაურკვეველია, 1908 წლის 2 ივნისს გამართული საუბრის შინაარსი ჟანდარმერიის ერთმა უწყებამ (ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიამ) რატომ გადასცა მეორეს (თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიას) ასე დაგვიანებით – 7 ივლისს. ძიებას ასეთი დეტალები არ აინტერესებდა. მთავარი აქ ის იყო, რომ დოკუმენტი ადასტურებდა ნიკონის მკვლელობის ოფიციალურ ვერსიას – მკვლელობის ორგანიზებას ქართველი ავტოკეფალისტების მიერ.

გარკვეული ხნის შემდეგეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ბრალი დაედო ორ პიროვნებას – მღვდელ **გიორგი პარკაძესა** და გორის მაზრის სოფელ ურბნისის დიაკონის, **გიორგი ირემაშვილის,** ვაჟს – **იოსებ ირემაშვილს.** თბილისის ოხრანკამ დაადგინა, რომ მღვდელი გიორგი ვიქტორის ძე პარკაძე და ასოთამწყობი იოსებ გიორგის ძე ირემაშვილი ცხოვრობდნენ თბილისში. გიორგი პარკაძე 1906 წლის დამდეგიდან იძებნებოდა, როგორც გორის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლი. რაც შეეხება იოსებ ირემაშვილს, თბილისის ოხრანკას მის შესახებ ცნობები არ გააჩნდა. 1908 წლის 28 აგვისტოს პოლიცია მივიდა იოსებ ირემაშვილის ბინის გასაჩხრეკად. ამ უკანასკნელმა გაქცევა მოახერხა, მაგრამ 31 აგვისტოს იგი მაინც დააპატიმრეს.

ამრიგად, ძიების მიერ ნიკონის მკვლელებად მიჩნეული ორი პიროვნებიდან ერთი – მღვდელი გიორგი პარკაძე – რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო, ხოლო მეორე – იოსებ ირემაშვილი – სოციალ-დემოკრატი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკონის მკვლელობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა ძიებას არ გააჩნდა, 1908 წლის აგვისტოში თბილისის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა **მალინოვსკიმ** წინასწარი ძიების მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე შეაჯამა შედეგები. თავისი მოცულობით უზარმაზარი დოკუმენტი თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა 1908 წლის 19 აგვისტოს გადაუგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს. გამომძიებელი და პროკურორი ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ყოველგვარი ეჭვის გარეშე ბრალს სდებდნენ ავტოკეფალისტებს. მკვლელობის მოტივი დოკუმენტში ასეა განმარტებული: ეგზარქოსი ნიკონი წინააღმდეგი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, რის გამოც იგი თავიდან მოიცილეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა. პროკურორი ჟანდარმერიისაგან მოითხოვდა, რომ *„დაედგინა უშუალო კავშირი ავტოკეფალურ მოძრაობასა და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობას შორის“.* ე. ი. ასეთი კავშირი 1908 წლის 19 აგვისტოსათვის, პროკურორისავე აღიარებით, ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი. პროკურორი საჭიროდ თვლიდა, აგენტურის საშუალებითა და ფარული მეთვალყურეობის გზით ჟანდარმერიას ავტოკეფალისტთა შორის მოეპოვებინა ისეთი მასალა, რომელიც *„საშუალებას მისცემდა, აღმოეჩინა ამ ბოროტმოქმედების როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური ჩამდენნი“.* დოკუმენტში ჩამოთვლილია 64 ავტოკეფალისტი, რომლებიც ძიების ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყვნენ. ძიებისათვის საინტერესოდ მიჩნეულია ორი მონასტერი – გელათისა და ბერთუბნისა. ავტოკეფალისტთა სიაში პირველია ეპისკოპოსი **კირიონი(საძაგლიშვილი),** შემდეგ მოდიან: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი **ლეონიდი(ოქროპირიძე),** გორის ეპისკოპოსი **პეტრე (კონჭოშვილი),** იმერეთის ეპისკოპოსი **გიორგი(ალადაშვილი),** ალავერდის ეპისკოპოსი **დავითი(კაჭახიძე),** არქიმანდრიტი **ამბროსი (ხელაია),** მღვდლები: **ქრისტეფორე ციცქიშვილი, ილარიონ ჯაში, კალისტრატე ცინცაძე, იოსებ ჩიჯავაძე, ვასილ კარბელაშვილი** და სხვები.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმის ძიება დიდხანს გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟანდარმერია დიდი გულმოდგინებით ცდილობდა ნიკონის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტებისათვის დაედო ბრალი, ძიების მიერ მოპოვებულ მასალებში სულ უფრო მეტი ოდენობით ჩნდება ცნობები, რომლებიც აშკარას ხდის, რომ ეგზარქოსის მკვლელობა ორგანიზებული იყო სოციალ-დემოკრატების მიერ.

მაინც ვინ მოკლა ეგზარქოსი ნიკონი? რა პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ მკვლელობის შემკვეთები? ჩვენი ყურადღება მიიქცია ეგზარქოსის მკვლელობის საქმეში დაცულმა სამმა დოკუმენტმა. ეს დოკუმენტებია: ჟანდარმერიის ანონიმი აგენტის 1908 წლის 16 აპრილის, 10 მაისისა და 2 ივნისის დასმენები.

ანონიმი აგენტის პირველი დასმენა ეხება 1908 წლის 12 აპრილს თბილისის ერთ-ერთი მონასტრის მღვდელ-მონაზვნის, სამონასტრო ხაზინის გამგებელ **გავრილის** მკვლელობას. ანონიმი აგენტი უარყოფს ვერსიას იმის შესახებ, რომ გავრილი ფულის გამო მოკლეს. მისი მტკიცებით, გავრილის მკვლელობა ბრალად ედებოდა **„დიაკონთა და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტს“,** რომელიც იმყოფებოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის გავლენის ქვეშ. აგენტის ცნობით, კომიტეტში შედიოდნენ: მთავარანგელოზის ეკლესიის დიაკონი **ტომითე ბაკურაძე,** წმინდა თომას მისიონერთა ეკლესიის დიაკონი **ალექსანდრ დავიდოვი,** ანჩისხატის ეკლესიის დიაკონი **დავით ჩიკვაიძე,** იმავე ეკლესიის ყოფილი მეფსალმუნე **სიმონ გოგიაშვილი.** კომიტეტის თავმჯდომარე იყო **ტიმოთე ბაკურაძე,** მდივანი – **ალექსანდრ დავიდოვი.**

(გაგრძელება იქნება)

**ვახტანგ გურული**

საქართველოს ახალი ისტორია, (1801-1918). წიგნი 3. გვ. 566-569

# „უსასრულო ხელოვნება“ – ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის წარმატებული სპექტაკლი

**ალიონი.** გასულ შაბათს, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მარიამ წულაძის და ანა ჩხარტიშვილის სცენარის მიხედვით განხორციელებული სპექტაკლი „უსასრულო ხელოვნება“ წარმოადგინეს.

„რა შეიძლება მოხდეს, როდესაც ოთხ თინეიჯერს სკოლის ბიბლიოთეკაში დავალების შესრულების დროს შემოალამდება? ალბათ ძველი ბერძნული ღმერთის გამოჩენა და ხელოვნების უსასრულო სამყაროში მოგზაურობა, თქვენი პირველი პასუხი ალბათ ეს არის. მაგრამ, სწორედ ასე მოხდება მაშინ, როდესაც ამ დავალებას სანდრო, მარიამი, ელენე და ლუკა ასრულებენ.

აპოლო თავის მუზებთან ერთად, ბავშვებს პროექტის დასრულებაში ეხმარება. აჩვენებს ყველაფერ იმას, რასაც ვიკიპედიაში ვერ იპოვიან. აქ ისინი გაიცნობენ დიდებულ ქალებს, რომლებსაც უდიდესი როლი აქვთ შესრულებული ხელოვნების ისტორიაში.“

საინტერესოდ ასრულებენ როლებს: გიორგი არობელიძე (აპოლო), ანა ჩხარტიშვილი (მარიამი), მარიამ წულაძე (ელენე), ლაშა კალანდაძე (სანდრო) გეგა არობელიძე (ლუკა), ქრისტინე დოლიძე (ნეფერტიტი), მარიამ ლომჯარია (გრიტი), ქრისტინე დოლიძე (კირკე), ანასტასია ონიანი (ელენე ახვლედიანი), მარიამ ლომჯარია (ფრიდა კალო), რომა წულაძე (მონა), ლუკა თეთრაძე (ვერმეერი).

დადგმის რეჟისურაც თავად დრამის კლუბის წევრებს ეკუთვნით.

ძალიან საინტერესო ქორეოგრაფია აქვს სპექტაკლს (ანანო მელუა), რომელსაც მუზები შესანიშნავად ასრულებენ: სალომე ყუბანეიშვილი, ანა კეჭაყმაძე, ანასტასია მენაბდე, ანასტასია მაჩაიძე, ნინი ჭელიძე, ლიზი მიქატაძე, ლიზი აბაშმაძე, ანისა დომანოვა, ეკატერინე კვაჭანტირაძე.



# შეხვედრა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ



საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ პარტნიორი ორგანიზაცია „ნატოს სამეკავშირეო ოფისმა“ და მისმა ხელმძღვანელმა **ალექსანდრე ვინიკოვმა** ქ. ოზურგეთში, პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ სააქტო დარბაზში გამართა შეხვედრა ადგილობრივ ახალგაზრდებსა და პედაგოგებთან.

წელს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) აღნიშნავს 75-ე წლისთავს დაარსებიდან და შეხვედრაც სწორედ ამ ღონისძიების ფარგლებში გაიმართა. ბატონმა ვინიკოვმა ისაუბრა ნატოზე, მის შექმნის ისტორიაზე, პოლიტიკაზე და, ასევე, განიხილა ნატო-საქართველოს ურთიერთობები.

შეხვედრის მეორე ნახევარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

# ცნობილი მსახიობი ომარ ურუშაძე 80 წლისაა



გურიის კოლორიტი, ცნობილი მსახიობი, ვოკალისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, **ომარ (ომისხანა) ურუშაძე** 80 წლისაა.

ომარ ურუშაძეს მაყურებელი ომარ ურუშაძეს იცნობს, როგორც კომედიური ჟანრის შესანიშნავ მსახიობს, თუმცა მას ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე სხვა ჟანრშიც არაერთი როლი აქვს შესრულებული.

მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებული მაინც ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებია.

ვუსურვებთ წარმატებას, ბედნიერებას თავის საყვარელ ოჯახში, თეატრში, მეგობრებში

# „ბათუმი“ 49:17 „არწივები“

დიდი 10-ის ბოლოსწინა ტურში, „ბათუმმა“ ოზურგეთის „არწივების“ წინააღმდეგობა მეორე ტა-იმში გატეხა და ბონუსით, 49:17 გაიმარჯვა.

ბათუმში თამაში მასპინძლების შეტევებით დაიწყო და საწყის 10 წუთში 15-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. მამუკა ნინიძემ ანგარიში ჯარიმით გახსნა, მერე კობა ბუჯიაშვილმა გაჭრა ხაზი მეტოქის



22-ში და მარჯვენა ფრთაზე მარტოდ დარჩენილმა პენი მაკამ ლელო გაიტანა, მე-9 წუთზე კი ფეხით გადაკიდებული ბურთი ნინიძეს ჩაუვარდა ხელში, ედვის სასმა კარგად ირბინა, ხოლო ლელო ჯაბა შათირიშვილმა მიითვალა და ნი-ნიძემ გარდასახა.

ამის შემდეგ „არწივებმა“ შეძლო ბურთზე კონტროლის დამყარება, გააფთრებით შეუტია და ლუკა კოხიამ ძელებსშუა საპასუხო ლელო გაიტანა. სტუმრებმა შეტევები გააგრძელეს, მეტოქის 22-ში დიდი დრო გაატარეს და 27-ე წუთზე კონსტანტინე გაზაშვილმა 5-მეტრიანი შერკინების შემდეგ მეორე ლელო გაიტანა. მარვინ ფრედერიქსმა ორივე გარდასახა — 15:14.

მეორე ტაიმის საწყის 10 წუთში ნინიძემ და ფრედერიქსმა ჯარიმები გაცვალეს, რის შემდეგაც „ბათუმი“ სრულად დაეუფლა უპირატესობას და 5 უპასუხო ლელო გაიტანა: — 49:17.

# ციალა ჭანიშვილი 86 წლისაა

**ციალა ივანეს ასულ ჭანიშვილს** 20 მარტს დაბადებიდან 86 წელი შეუსრულდება.

მის მიერ განვლილი წლე-ბის განმავლობაში მუდამ შრომასა და სწავლაში მოწინ-ვეთა რიგებში იდგა.მას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ძალიან რთულ პირობებში მოუხდა სამეცნიერო ხარისხის მოპოვება.

მუშაობდა საპასუხისმგებ-ლო თანამდებობებზე: რეგიონის კარანტინის ინსპექციის უფროსად, ოზურგეთის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარ აგრონომად.

მიუხედავად ამჟამინდელი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, არის შრომისმოყვარე და აქვს საოცარი მახსოვრობის თანდაყოლილი ნიჭი.

მან, ავადმყოფობის პირობებში დიდი შრომა გასწია დაწერა წიგნი მშობლიურ სოფელზე. „სოფელი ლიხაური“ მზად არის გამოსაცემად. 10 თვის წინ მასთან სოფელში მყოფი მთავრობის წარმომადგენლები, ცნობილი ადამიანები იყვნენ სტუმრად, რომლებიც დაპირდნენ წიგნის გამოცემაში დახმარებას.

„არ ინერვიულოთ ქალბატონო ციალა, ადრე მოგასწრებთ წიგნის ბეჭდვასო“...

ვულოცავთ ქალბატონ ციალას მოახლოებულ დაბადების დღეს, მისი სურვილების შესრულებას, დღეგრძელობას.



დიდი სიყვარულით,

**უახლოესი ადამიანები, მეგობრები და ოჯახის წევრები**

# ვულოცავთ!

ღვაწლმოსილ პედაგოგს, კარგი შვილების დედას და სიკეთით სავსე ქალბატონ **დადანას** ნინო რუხაძე ოჯახით ვულოცავთ ქალთა დღეს მისივე ლექსით:

**„უფალი მუდამ გიყვარდეს“**

ძალიან მიყვარს სიცოცხლე,
უფლისგან ნაჩუქარი,
ღმერთს ვთხოვ დიდხანს გამიგრძელოს,
მამყოფოს სულ მომღიმარი.
შვილები კარგად მიმყოფოს,
ყველა თავისი ნაგრამით,
ბავშვები ერთად ხარობდნენ,
მათ საამაყო დედ-მამით.
თავს გრძნობდეს ყველა ამაყად,
გულში არ ჰქონდეთ დარდები,
ღმერთო, ძალიან მიყვარხარ,
და უფრო შემიყვარდები.
ჩემი საყრდენი შენა ხარ,
ჩემი ამბების გამგები,
შენსავით ვინ მიმიხვდება
რაც რომ გულში მაქვს ნადები.
ანდა ვის ძალუძს შენსავით,
გვერდზე რომ უხმოდ დამიდგეს,
უკლებლივ ყველამ ვილოცოთ,
უფალი მუდამ გვფარავდეს.

**დადანა ცინცაძე**
18 ნოემბერი, 2023 წ.

დაფინანსებულია

# ჯანზე მყოფმა „ჯანმა“ „ზუგდიდი“ 86:0 დაამარცხა

მორიგ ტურში, ჯანზე მყოფმა ჩოხატაურის „ჯანმა“ ზუგდიდში, საქართველოს პირველობაზე რაგბიში (რეგიონლიგა, დასავლეთი ზონა) ადგილობრივი კლუბი 86:0 დაამარცხა.

ამ ტურში კიდევ ორი დიდი სხვაობა დაფიქსირდა. დასავლეთ ზონის გათამაშების ლიდერმა „სამტრედიამ“ ვანი 72:0 დაამარცხა, ხოლო ფოთის „კოლხმა რაინდებმა“ ბათუმის „მეკობრეები“ 102:0.

8 ტურის შემდეგ „სამტრედიას“ 30 ქულა აქვს, „კოლხ რაინდებს“ 26, ხოლო „ჯანი“ (6 მოგება, 2 წაგება, გატ/გაშ 269:117) 25 ქულით მესამე ადგილზეა.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +9+23 | წვიმა +7+19 | წვიმა +6+14 | წვიმა +5+9 | ღრუბელი +3+7 | წვიმა +6+11 | წვიმა +8+13 |
| 13 მარტი ოთხშაბათი | 14 მარტი ხუთშაბათი | 15 მარტი პარასკევი | 16 მარტი შაბათი | 17 მარტი კვირა | 18 მარტი ორშაბათი | 19 მარტი სამშაბათი |